საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY
OF EDUCATION, CULTURE AND SPORT

MES 1 18 01412393

01/11/2018

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორს ბატონ ერმილე მესხიას

ბატონო ერმილე,

როგორც თქვენთვის ცნობილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს "სტუდენტთა დახმარების" ქვეპროგრამას, რომელიც ითვალისწინებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად საბაკალავრო და სამაგისტრო აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული იმ სტუდენტთა დაფინანსებას, რომლებიც ბოლო ექვსი წელი სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის ბოლო სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრება ტოლია ან მეტი 71 % -სა.
კონკურსი ითვალისწინებს შემდეგი კატეგორიის სტუდენტების დაფინანსებას:

- სტუდენტები მაღალმთიანი აჭარიდან;
- მრავალშვილიანი ოჯახის წევრი: ოთხი ან მეტი შვილი;
- დედით ან მამით ობოლი, უდედმამო;
- სოციალურად დაუცველი: 100 000 ქულა ან ნაკლები.

"სტუდენტთა დახმარების" ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსი დაფინანსების მოსაპოვებლად ცხადდება წელიწადში ორჯერ, სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის დასრულების შემდეგ პირველ კურსელთათვის და სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის დასრულების შემდეგ II, III და IV კურსზე გადასული სტუდენტებისათვის.

"სტუდენტთა დახმარების" ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის მეორე ეტაპზე, რომელიც მიმდინარეობდა 2018 წლის პირველი აგვისტოდან 24 აგვისტოს ჩათლით, განცხადებების მიღება დასრულებულდა და გამოვლინდნენ გამარჯვებული სტუდენტები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ "სტუდენტთა დახმარების" ქვეპროგრამის ფარგლებში დამატებით გამოაცხადა კონკურში. კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადებების მიღება გაგრძელდება 2018 წლის 01 ნოემბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით.

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
05. 11. 18.
ფარცელია რამაზი

6015 ქ. ბათუმი, ლ. გუდიაშვილის ქ. №4
ტელ./ფაქსი: 0422 245370
www. moecs.ge

№4 L. Gudiashvili street, Batumi 6015
Tel./Fax: +995 (422) 245370
www. moecs.ge

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 2015, 2016 და 2017 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების პირველ (ბაკალავრიატი) და მეორე (მაგისტრატურა) საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტებს.

გეგზავნებათ "სტუდენტთა დახმარების" ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული მორიგი კონკურსის ორგანიზების მიზნით, რიგი პირობების განსაზღვრის თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 30 ოქტომბრის N01-11/376 ბრძანების ასლი.

გთხოვთ, ინფორმაცია მიაწოდოთ დაინტერესებულ პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ:
მისამართი: ქ. ბათუმი, ლ. გუდიაშვილის ქუჩა №4.
ტელ: 24 53 78
ვებ-გვერდი: www.moecs.ge

დანართი: 5 (ხუთი) ფურცელი.

პატივისცემით,

ინგა შამილიშვილი
მ ი ნ ი ს ტ რ ი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება № 01-11/376

ქ. ბათუმი 30 ივლისი 2018

,,სტუდენტთა დახმარების'' ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული მორიგი კონკურსის ორგანიზების მიზნით, რიგი პირობების განსაზღვრის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული "განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის" პროგრამის "სტუდენტთა დახმარების" ქვეპროგრამას (კლასიფიკაციის კოდი: 050403). ქვეპროგრამის კომპონენტის ,,ბენეფიციარის დაფინანსება'' 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 972 150 ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში 2017-2018 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრში დაფინანსდა 454 სტუდენტი, რისთვისაც საჭირო თანხამ შეადგინა 479 952,5 ლარი.

2018-2019 სასწავლო წლის პირველ (შემოდგომის) სემესტრში ქვეპროგრამის ფარგლებში 294 სტუდენტს გაუგრძელდა სწავლის დაფინანსება, რისთვისაც საჭირო თანხამ შეადგინა 309 402,5 ლარი.

"სტუდენტთა დახმარების" ქვეპროგრამის ფარგლებში, პირველი აგვისტოდან 24 აგვისტოს ჩათვლით გამოცხადებულ კონკურსში დაფინანსება მოიპოვა 103 სტუდენტმა. საჭირო თანხამ შეადგინა 111 876,25 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2018 წლის ბიუჯეტიდან ქვეპროგრამის ფარგლებში სულ დაფინანსდა 851 სტუდენტი, გაიხარჯა 901 231,25 ლარი და ეკონომიის სახით დარჩა 70 918,75 ლარი.

მიზანშეწონილია ქვეპროგრამაში ეკონომიის სახით არსებულ თანხაზე - 65 000 ლარზე გამოცხადდეს დამატებითი კონკურსი. დამატებით გამოცხადებულ კონკურსში დაფინანსების მოპოვება შეუძლიათ 2015, 2016 და 2017 წელს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამის პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტებს, რომლებიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები მიიღეს აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა ბოლო სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრება ტოლია, ან მეტია 71%-სა.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაიცემა შემდეგი კატეგორიის სტუდენტებზე:

- სტუდენტი, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში - ქედა, შუახევი, ხულო, ასევე

"მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრულ ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სოფლებში;

- სტუდენტი, რომელიც არის ობოლი (დედით ან მამით, უდედმამო);
- სტუდენტი, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (ოთხი ან მეტი შვილი);
- სტუდენტი, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია, ან ნაკლებია 100 000-ზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს განათლების დეპარტამენტის უფროსის ნაზიბროლა ბერიძე-გაბაიძის 2018 წლის 29 ოქტომბრის N1393265 მოხსენებითი ბარათისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის თანახმად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „სტუდენტთა დახმარების" ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ მორიგ კონკურსში კატეგორიების შესაბამისად წარმოსადგენი განცხადებისა და დამატებითი დოკუმენტების ნუსხა, თანახმად დანართისა.

2. „სტუდენტთა დახმარების" ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ მორიგ კონკურსში მონაწილეობის მიზნით, განცხადებებისა და დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2018 წლის 1 ნოემბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი.

3. სტუდენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ 2018 წლის 1 აგვისტოდან 24 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში ქვეპროგრამაში მონაწილეობისათვის და აკმაყოფილებენ პროგრამით დადგენილ კრიტერიუმებს, მაგრამ ვერ მოიპოვეს დაფინანსება მათი განცხადებები ავტომატურად ჩაითვალოს დამატებით გამოცხადებულ კონკურსში რეგისტრირებულად.

4. ქვეპროგრამაში ეკონომიის სახით არსებული თანხა 65 000 ლარი გადანაწილდეს პირველ და მეორე საფეხურზე შეფარდებით: ბაკალავრები - არსებული თანხის 80%, მაგისტრები - არსებული თანხის 20%.

ბაკალავრებისთვის გათვალისწინებული თანხა გადანაწილდეს შემდეგი შეფარდებით:

- სტუდენტები მაღალმთიანი აჭარიდან - 25%;
- მრავალშვილიანი ოჯახის წევრი: ოთხი ან მეტი შვილი -20%;
- დედით ან მამით ობოლი, უდედმამო -20%;
- სოციალურად დაუცველი: 100 000 ქულა ან ნაკლები - 35%.

მაგისტრებისთვის გათვალისწინებული თანხა გადანაწილდეს შემდეგი შეფარდებით:

- სტუდენტები მაღალმთიანი აჭარიდან - 25%;
- მრავალშვილიანი ოჯახის წევრი: ოთხი ან მეტი შვილი -25%;
- დედით ან მამით ობოლი, უდედმამო -25%;
- სოციალურად დაუცველი: 100 000 ქულა ან ნაკლები - 25%.

5. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა დაევალოს სამინისტროს საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების განყოფილებას.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის: ქალაქი ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ.N9) ერთი თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინგა შამილიშვილი
მინისტრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლების, კულტურისა და სპორტის
მინისტრს ქალბატონ ინგა შამილიშვილს

მოქ-ე სახელი, გვარი ----------
მისამართი: ----------
ტელეფონი: ----------
პირადი ნომერი: ----------

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

201--- წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩავირიცხე

_____

_____

(სასწავლებლის დასახელება, ფაკულტეტი, სპეციალობა).

საფეხური:

- □ საბაკალავრო
  □ სამაგისტრო

მივეკუთვნები „განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის" პროგრამის „სტუდენტთა დახმარების" ქვეპროგრამისშემდეგ კატეგორიაა/კატეგორიებს:

□ სტუდენტი მაღალმთიანი აჭარიდან: (ქედა, შუახევი, ხულო, ასევე "მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრული ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სოფლებში მდებარე სკოლებში);

□ დედით, ან მამით ობოლი, უდედმამო

□ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი: ოთხი ან მეტი შვილი

□ სოციალურად დაუცველი: 100 000 ქულა ან ნაკლები

ინფორმაცია დაფინანსების შესახებ:

□ არ ვსარგებლობ სახელმწიფო გრანტით

□ ნაწილობრივ ვსარგებლობ სახელმწიფო გრანტით

წარმოგიდგენთ „სტუდენტთა დახმარების" ქვეპროგრამაში მონაწილეობისათვის განსაზღვრულ დოკუმენტებს.

გაცნობებთ, რომ გავეცანი ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის პირობებს და ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს.

ვეთანხმები, რომ სამინისტრო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას აღნიშნული განაცხადი კონკურსიდან.

გთხოვთ, ნება დამრთოთ მონაწილეობა მივიღო აღნიშნულ ქვეპროგრამაში.

დანართი: ____ ფურცელი.

ხელმოწერა

თარიღი

სამინისტროში წარმოსადგენი დოკუმენტები კატეგორიების მიხედვით

1. სტუდენტმა - მაღალმთიანი აჭარიდან: (ქედა, შუახევი, ხულო, ასევე "მაღალმთიანდასახლებათანუსხისდამტკიცებისშესახებ" საქართველოსმთავრობი ს 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრული ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სოფლები) უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან წესაბამის სკოლაში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ;

ე) ცნობა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის შედეგების შესახებ;

ვ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ;

ზ) აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის ჩარიცხვის თარიღის, სწავლის საფასურის, ფაკულტეტის, სპეციალობისა და კურსის, ასევე, სასწავლო პროგრამის აკრედიტაციის ვადების მითითებით.

2. სტუდენტმა - ობოლი (დედით, ან მამით, უდედმამო) უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) დაბადების მოწმობის ასლი;

დ) მშობლის/მშობლების გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამის სკოლაში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ;

ვ) ცნობა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის ბოლო სემესტრისშედეგების შესახებ;

ზ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ;

თ) აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის ჩარიცხვის თარიღის, სწავლის საფასურის, ფაკულტეტის, სპეციალობისა და კურსის, ასევე, სასწავლო პროგრამის აკრედიტაციის ვადების მითითებით.

3. სტუდენტმა - მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (ოთხი, ან მეტი შვილი) უნდა

წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) განმცხადებლისა და მისი და ძმების დაბადების მოწმობების ასლები;

დ) ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამის სკოლაში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ;

ე) ცნობა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის შედეგების შესახებ;

ვ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ;

ზ) აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის ჩარიცხვის თარიღის, სწავლის საფასურის, ფაკულტეტის, სპეციალობისა და კურსის, ასევე, სასწავლო პროგრამის აკრედიტაციის ვადების მითითებით.

4. სტუდენტმა - სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან (მონაცემთა ბაზაში

რეგისტრირებული სარეიტინგო ქულა ტოლია, ან ნაკლებია 100 000-ზე) უნდა

წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი.

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის ასლი, რითაც დასტურდება რომ სტუდენტი ეკუთვნის სოციალურად დაუცველ ოჯახს

(ცნობა გაცემული უნდა იყოს აღნიშნული პროგრამის სააპლიკაციო ვადის ფარგლებში, 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით);

დ) დაბადების მოწმობის ასლი;

ე) ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამის სკოლაში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ;

ვ) ცნობა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის საშუალო შედეგების შესახებ;

ზ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ;

თ) აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის ჩარიცხვის თარიღის, სწავლის საფასურის, ფაკულტეტის, სპეციალობისა და კურსის, ასევე, სასწავლო პროგრამის აკრედიტაციის ვადების მითითებით.